

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერადი 2018 წლის პროგრამა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა.
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 01 იანვარი 2018 წელი – 31 დეკემბერი 2018 წელი.
3. პროგრამის ბიუჯეტი: 230 000 (ორასოცდაათათასი) ლარი.
4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი.
5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

**მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები**

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დასახელება**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეიძლება დაფინანსდეს:

1. საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია, გამოკვლევა.
2. საყოველთაო პროგრამით დაუფინანსებელი გამოკვლევის ან ოპერაციის თანადაფინანსება.
3. ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება.
4. არ დაფინანსდება ესთეტიკური მიზნით ოპერაციები და საკეისრო კვეთა.

**მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა**

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

1. 1000 ლარის ფარგლებში 50% ით.
2. 1000 ლარიდან ზემოთ მაქსიმუმ 500 ლარით.

**მუხლი 6. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია**

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია**

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

- ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი. ასევე, დაბადების მოწმობის ასლი;
- ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გაწეული ან გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ანგარიშ-ფაქტურა) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით.

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

#### **მუხლი 8. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე

